

სს “ორბელი ტრანსი“ (ს/კ 208141642) სააღრიცხვო პოლიტიკა და
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წ. 31
დეკემბერს დასრულებული წლისთვის

29.09.2023

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს

“ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგების და აუდიტორული საქმიანობის შესახებ”
საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის N5386-III კანონის მოთხოვნების თანახმად ვებ
გვერდზე “REPORTAL.GE”-ზე გამოსაქვეყნებლად წარმოგიდგენთ სს “ორბელი ტრანსი”-ს
2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და შესაბამის განმარტებებს.

სს “ორბელი ტრანსი” ზემო აღნიშნული კანონით დადგენილი პარამეტრების მიხედვით
წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს და ამავე კანონის მოთხოვნების თანახმად
ფინანსურ ანგარიშგებას წარმოადგენს “მცირე და საშუალო საწარმოების საერთაშორისო
სტანდარტების ნორმების (IFRS for SMEs)” გათვალისწინებით.

დირექტორი



სს “ორბელი ტრანსი” (ს/კ 208141642) სააღრიცხვო
პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი
შენიშვნები 2022 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სს “ორბელი ტრანსი“

(ს/კ208141642)

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული

საანგარიშო წლისათვის

სს “ორბელი ტრანსი“ (ს/კ 208141642) სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. სს “ორბელი ტრანსი“-ს 2022 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	175,962	284,347	432,212
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	594,930	1,345,977	834,096
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	-	-	-
მრავლები	50,662	263,221	270,612
მზა პროდუქცია	-	-	-
სხვა	50,662	263,221	270,612
საინვესტიციო ქონება	24,753,033	23,275,033	14,082,586
სხვა მოკლევადიანი აქტივები	-	-	-
ბიოლოგიური აქტივები	-	-	-
თვითღირებულების მოდელით	-	-	-
გადაფასების მოდელით	-	-	-
გუდვილი	-	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	-	-	-
ძირითადი საშუალებები	458,069	343,063	265,618
ინვესტიციები შეიღობილ კომპანიებში	-	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	-	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	-	-
სულ აქტივები	26,032,656	25,511,641	15,885,124
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	-	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	-	-	-
ანარიცხები	-	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	-	-	-
საგადასახადო ვალდებულებები	-	-	-
გამოუმუშავებელი შემოსავალი	-	-	-
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	3,813,700	1,627,893	579,376
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	2,750,521	6,929,908	6,669,231
მიღებული გრანტები	-	-	-
სხვა ვალდებულებები	372,510	267,891	189,767
სულ ვალდებულებები	6,936,731	8,825,692	7,438,374
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (მზს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'სააპიო კაპიტალი')	1,329,205	1,329,205	1,329,205
საემისიო შემოსავალი	-	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-	-	-
გაუაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	17,733,140	15,323,164	7,083,965
გადაფასების რეზერვი	33,267	33,267	33,267
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	313	313	313
სულ საკუთარი კაპიტალი	19,095,925	16,685,949	8,446,750
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	26,032,656	25,511,641	15,885,124
სულ მოკლევადიანი აქტივები	1,804,639	1,970,226	1,873,253
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	54,807	56,140	247,131

სს “ორბელი ტრანსი” (ს/კ 208141642) სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

2. სს “ორბელი ტრანსი”-ს 2022 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	3,230,825.00	2,890,655.00
საქონლოს გაყიდვიდან	-	-
მომსახურების გაწევიდან	3,230,825.00	2,890,655.00
სამშენებლო ხელშეკრულებიდან	-	-
სხვა	-	-
გაყიდვების თვითღირებულება	-	(477,701.00)
საწესიო მარაგები	-	-
მარაგების შესყიდვა	-	-
გადამუშავების დანახარჯები	-	-
საბოლოო მარაგები	-	-
საერთო მოგება	3,230,825.00	2,412,954.00
სხვა საოპერაციო შემოსავალი	-	-
დასაქმებულთა ანაზღაურება	(255,000.00)	(997,000.00)
ცეცხა / ამორტიზაციის ხარჯი	(322,000.00)	(322,000.00)
საპროცენტო შემოსავალი	-	-
საპროცენტო ხარჯი	(341,895.00)	(532,703.00)
ოჯარის ხარჯი	-	-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(388,000.00)	(457,000.00)
სულ საოპერაციო ხარჯები	(1,306,895.00)	(2,308,703.00)
საოპერაციო მოგება	1,923,930.00	104,251.00
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაპრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	200,055.00	1,166,710.00
მიღებული დივიდენდები	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	285,991.00	6,968,238.00
მოგება / (ზარალი) მოგების გადასანადის ხარჯამდე განერბოშიდნ თერაციებიდან	2,409,976.00	8,239,199.00
მოგების გადასანადის ხარჯი	-	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	2,409,976.00	8,239,199.00
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	-	-
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მკვემრე საწარმოების უზრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	-	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	-	-
მიღლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	2,409,976.00	8,239,199.00
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	16,685,949.00	8,446,750.00
ახალი აქციების გამოშვება (მშ-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	-	-
განაწილება შესაკუთრებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	19,095,925.00	16,685,949.00

სს “ორბელი ტრანსი“ (ს/კ 208141642) სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

3. სს “ორბელი ტრანსი“-ს 2022 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	2,250,003.00	-
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(333,943.00)	-
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(1,784,576.00)	-
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	131,484.00	-
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	43,273.00	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	284,347.00	432,212.00
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	459,104.00	432,212.00

4. ზოგადი ინფორმაცია

კომპანია “ორბელი ტრანსი” სააქციო საზოგადოებაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში.

კომპანიის იურიდიული მისამართია- ქ. თბილისი, ჭირნაზულის ქ. ნომერი 9;

კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 208141642;

საზოგადოების ღირებულება-გალაქტიონ სურმაკა;

სამეთვალყურეო საზოგადოების თავმჯდომარეა-ილია კეკელიძე;

მისი ძირითადი საქმიანობაა უძრავი ქონების იჯარით გაცემა.

5. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო

სს “ორბელი ტრანსი” (ს/კ 208141642) სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულებში (ლარი).

ფინანსურ ანგარიშგებაში ელიმინირებულია ყველანაირი ოპერაცია, ნაშთი, შემოსავალი და ხარჯი.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში- კომპანიას არა გააჩნია მეკავშირე საწარმოები.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის/მომსახურების რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი/მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და ქვეყნის მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადისა და გადავადებული გადასახადის ჯამი.

2016 წლის 13 მაისს საგადასახადო კანონმდებლობაში შესულმა ცვლილებამ, მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით და ძალაშია 2017 წლის 01 იანვრიდან), რომლის მთავარ „მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტს“ წარმოადგენს განაწილებული მოგება და არა მიმდინარე პერიოდის მოგება, საშუალება მისცა კომპანიებს მოგების გადასახადის თანხა გამოიყენონ ბიზნესის განვითარებისათვის.

მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ განაწილებულ მოგებას.

სს “ორბელი ტრასი“ (ს/კ 208141642) სააღრიცხვო პოლიტიკა და
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წ. 31
დეკემბერს დასრულებული წლისთვის

გადავადებული გადასახადი აღიარდება ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და მათ შესაბამის საგადასახადო ბაზებს შორის სხვაობასთან (ე.წ. დროებითი სხვაობა) მიმართებით. ყველა დროებითი სხვაობის მიხედვით, რომელიც მოსალოდნელია, რომ მომავალში გაზრდის საგადასახადო მოგებას, აღიარდება გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები. გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარდება ყველა დროებითი სხვაობის მიხედვით, რომელიც მოსალოდნელია, რომ მომავალში შეამცირებს საგადასახადო მოგებას, ასევე ყველა გამოუყენებელ საგადასახადო ზარალთან, ან გამოუყენებელ საგადასახადო კრედიტთან მიმართებით. გადავადებული საგადასახადო აქტივების შეფასება ხდება მაქსიმალური შესაძლო თანხით, რომლის აღდგენაც უფრო მოსალოდნელია, ვიდრე არაა, მიმდინარე საგადასახადო მოგებისა, თუ შეფასებული მომავალი საგადასახადო მოგების საფუძველზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივების წმინდა საბალანსო ღირებულება განიხილება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის და მისი კორექტირება ხდება მომავალი საგადასახადო მოგების მიმდინარე შეფასების ასახვის მიზნით. ნებისმიერი კორექტირების თანხა აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

გადავადებული გადასახადი გაიანგარიშება იმ საგადასახადო განაკვეთების მიხედვით, რომლებიც, სავარაუდოდ, გავრცელდება იმ პერიოდების საგადასახადო მოგებაზე (საგადასახადო ზარალზე), როდესაც საწარმო მოელის გადავადებული საგადასახადო აქტივის გამოყენებას, ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულების დაფარვას და უკვე ძალაში შესულია, ან არსებითად ძალაში შესულია საანგარიშგებო თარიღისთვის.

ძირითადი საშუალებები

სს “ორბელი ტრანსი” (ს/კ 208141642) სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები

2-5 პროცენტი

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა

10–30 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურ აქტივები

საწარმოს მოცემულ ეტაპზე არამატერიალური აქტივები არ გააჩნია.

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს ლიცენზიებს, კონცესიებს, შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც აისახება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით.

მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც ხუთ წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

სს “ორბელი ტრანსი“ (ს/კ 208141642) სააღრიცხვო პოლიტიკა და
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წ. 31
დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების,
არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში
განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს
თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია.
იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება
ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი
ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ
შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო
ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო
გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან
ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება
მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით
შემცირებულ სარეალიზაციო ფასს.

თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური
ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების
შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო
დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების
ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის
აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო
ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების
(სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის
დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული
სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ
გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში,
თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის)

სს “ორბელი ტრანსი” (ს/კ 208141642) სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისათვის.

ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც საწარმოს აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით, რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში.

მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ზდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით.

თვითღირებულება გაიანგარიშება „პირველი შემოსავალში-პირველი გასავალში“ („ფიფო“) მეთოდით.

სს “ორბელი ტრანსი“ (ს/კ 208141642) სააღრიცხვო პოლიტიკა და
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წ. 31
დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები.

სესხის საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები –

საწარმოს დანახარჯები და ვალდებულება, დაქირავებულ მომუშავეებს გადაუხადოს გასამრჯელოები აღიარდება მომუშავეთა დასაქმების პერიოდებში. ზემოაღნიშნული დანახარჯებისა და ვალდებულების შეფასება ხდება პროგნოზირებული პირობითი ერთეულის მეთოდის გამოყენებით.

სს “ორბელი ტრანსი” (ს/კ 208141642) სააღრიცხვო
პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი
შენიშვნები 2022 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებებისთვის

საწარმოს მიერ გაყიდულ საქონელს/მომსახურებას ახლავს გარანტია, თუმცა
მას არ გააჩნია რაიმე ანარიცხები საგარანტიო ვალდებულების შეფასებული
საგარაუდო დანახარჯებისათვის.

6. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა

ბანკის სესხებისა და ბანკის ოვერდრაფტების ხელშეკრულებების პირობების
მიხედვით დაუშვებელია ისეთი ოდენობის დივიდენდების გადახდა, რაც
გაუნაწილებელი მოგების ნაშთს შეამცირებს ბანკის სესხისა და ბანკის
ოვერდრაფტის გადასახდელი ნაშთების ჯამზე ნაკლებ სიდიდემდე.

დირექტორი



გალაქტიონ სურმაკა